დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის
გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის
№03 ბრძანებით (დანართი 3)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის
და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „გალობის უნივერსიტეტი“) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმების (შემდგომში - „მექანიზმები“) დოკუმენტის მიზანია აღწეროს გალობის უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მიზნები, მეთოდოლოგია, სამუშაო პროცესები და შეფასების შედეგებზე რეაგირების საკითხები.
2. მონიტორინგის მიზანია გალობის უნივერსიტეტის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ეფექტიანობის ამაღლება, რაც მოიცავს არსებული მექანიზმების გამოყენებით შეფასებას და შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

მუხლი 2. მონიტორინგის პროცესი, მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეულები/პირები

1. გალობის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი ხორციელდება წლიური შეფასების გზით.

2. მონიტორინგის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას გალობის უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, გამოითხოვს სტრუქტურული ერთეულებისგან/პირებისგან ანგარიშს, მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას.
3. სტრუქტურული ერთეულებისგან/პირებისგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე წლიური მონიტორინგის ანგარიშს ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და განსახილველად წარუდგენს სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის ჩატარების მიზნით, აკადემიური წლის დასაწყისში რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილ წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს (შემდგომში - „მონიტორინგის ჯგუფი“).
4. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის, იურიდიული სამსახურისა და ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელები. მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას და მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. წლიური მონიტორინგის ანგარიშის განხილვაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს ხელმძღვანელობს რექტორი.
5. სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის საფუძველზე შეიძლება გადაიხედოს მიმდინარე აკადემიური წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები, შესრულების ვადები და სამიზნე ნიშნულები, ასევე გალობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებიც/ამოცანებიც.
6. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით, სტრატეგიული განვითარების გეგმის მოქმედების ბოლო წელს, რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის, ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურისა და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს გალობის უნივერსიტეტის რექტორი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფი გალობის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე ახორციელებს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ნიშნულების შესრულების ანალიზს.

მუხლი 3. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელების ვადები

1. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, ყოველწლიურად შესასრულებელი აქტივობების შესრულების მონიტორინგი ტარდება ყოველწლიურად, რომელიც უნდა დასრულდეს არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 01 მაისისა.
2. ახალი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რომელიც იწვევს სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელოვან ცვლილებებს, შესაძლებელია არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება. პროცესის ინიცირებას ახდენს გალობის უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 4. სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგი

1. გალობის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისგან/პირებისგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის ანგარიშის პროექტს. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან გამოითხოვს ღონისძიებების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებებს. წლიური მონიტორინგის ანგარიშის პროექტი შეიცავს მექანიზმების დანართით განსაზღვრულ ინფორმაციას, ასევე ინფორმაციას საბოლოო სამიზნე ნიშნულის მიღწევის შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ადასტურებს მათ რელევანტურობას.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის პროექტი განსახილველად წარედგინება მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც შეისწავლის მას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ამოცანას ენიჭება დამდგარი ფაქტის შესაბამისი სტატუსი. სტატუსი შეიძლება იყოს:

   ა) შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% და მეტი შესრულებულია;

ბ) შესრულებულია მეტწილად - დაგეგმილი ღონისძიებების 60%-დან - 90%-მდე შესრულებულია;

ბ) შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 30%-დან - 60% შესრულებულია;

გ) ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 30% -ზე ნაკლები შესრულდა.

3. მონიტორინგის ჯგუფი ღონისძიებების სტატუსის მინიჭების დროს ითვალისწინებს ღონისძიებების სირთულეს, მნიშვნელობასა და შესრულების ხარისხს.
4. მონიტორინგის ჯგუფი ასაბუთებს თითოეული ღონისძიების შესრულების სტატუსს, არგუმენტირებულად. მონიტორინგის ჯგუფი უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით დამატებით გაესაუბროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელს, ასევე დამატებით გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია. საბოლოო ანგარიშის პროექტი წარედგინება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს/ფაკულტეტს ფაქტობრივი უზუსტობების აღმოფხვრისა და დაზუსტების მიზნით და კომენტარებისთვის.
5. არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 1-ლი მაისისა მონიტორინგის ჯგუფი განიხილავს სტრუქტურული ერთეულების/ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ კომენტარებს, შეაჯერებს მათ და შეიმუშავებს მონიტორინგის ანგარიშის საბოლოო ვერსიას.

მუხლი 5. მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება

1. წლიური მონიტორინგის ანგარიშები, განხილვის მიზნით წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.
2. მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშის საფუძველზე, ჯგუფის რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭომ შესაძლოა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები:

   ა) სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილების/ ცვლილებების განხორციელების შესახებ;

   ბ) ანგარიშში ასახული შეუსრულებელი ღონისძიებების მიმდინარე კალენდარული წლის სამოქმედო გეგმაში დამატების შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ არ არის დაკარგული შესრულების ინტერესი);
3. სტრუქტურული ერთეულის მხრიდან ობიექტური გარემოების/მიზეზის არ არსებობის პირობებში, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა შესაძლოა ჩაითვალოს ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებად, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს განმავითარებელი

ღონისძიებების დაგეგმვა, განმეორებით ვალდებულებების შეუსრულებლობას კი გალობის უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

4. სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი ცვლილების/ცვლილებების საჭიროების განსაზღვრის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გალობის უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. მექანიზმები დამტკიცდეს რექტორის ბრძანებით.
2. მექანიზმებში ცვლილებები და დამატებები შევიდეს რექტორის ბრძანებთ.
3. მექანიზმები ამოქმედდეს დამტკიცებისტანავე.

გალობის
უნივერსიტეტი

დანართი

ინფორმაცია ამოცანის შესახებ	
ინფორმაცია კონკრეტული ამოცანით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ	
ინფორმაცია ღონისძიების შესრულების საანგარიშო პერიოდით გათვალისწინებული ვადის შესახებ	
ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების ინდიკატორების და ვერიფიკატორების შესახებ	
ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს აღწერილობითი ნაწილის შესაბამისი მტკიცებულებებითა და შესრულების ვადების მითითებით	
ინფორმაცია ღონისძიების განუხორციელებლობის გამომწვევი მიზეზების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

გალოზის
უნივერსიტეტი